

|  |  |
|--|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“<br>მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35<br>ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>  |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება     | მათემატიკა   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                | მათემატიკის ბაკალავრი  |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში            | საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის:<br>1. სავალდებულო საფაკულტეტო - 10 ECTS კრედიტი;<br>2. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 90 ECTS კრედიტი;<br>3. პროგრამა მოიცავს ორ არჩევით მოდულს: მოდული „მათემატიკა“ და მოდული „ფინანსური მათემატიკა“, თითოეული მოდულის მოცულობა შეადგენს 80 ECTS კრედიტს. „მათემატიკის“ მოდულის სავალდებულო ჯურსები შეადგენს 65 ECTS კრედიტს, არჩევითი 15 ECTS კრედიტს. „ფინანსური მათემატიკის“ მოდულის სავალდებულო კურსები შეადგენს 60 ECTS კრედიტს, არჩევითი კი - 20 ECTS კრედიტს;<br>4. დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან თავისუფალი არჩევითი კურსები - 60 ECTS კრედიტი  |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი         | <ul style="list-style-type: none"> <li>• მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში;</li> <li>• გამოუმუშაოს სტუდენტს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული ან/და პრაქტიკული ამოცანები სგაგების, ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის;</li> <li>• უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომსაფეხურზე.</li> <li>• უზრუნველყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსების ან/და დამატებითი სპეციალობის საშუალებით.</li> </ul>  |
| სწავლის შედეგები                         | <p><b>აქვს:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებათა თეორიებისა და მეთოდების ცოდნა: <ul style="list-style-type: none"> <li>• წრფივი ალგებრის, დიფერენციალური აღრიცხვისა და ტოპოლოგიის გამოყენებით ევკლიდურ და არაევკლიდურ სივრცეთა გეომეტრიული ობიექტების ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა;</li> <li>• დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საშუალებით ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა კვლევის, დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის და მათი გამოყენებით ალბათურ-სტატისტიკური მოდელის აგებისა და ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა;</li> <li>• რიცხვთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკისა და ძირითადი ალგებრული სტრუქტურების თეორიული საფუძვ-ლებისა და კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა;</li> <li>• ფუნქციათა მიახლოების, წრფივი ალგებრის, რიცხვითი გაწარმოების და ინტეგრების, არაწრფივ განტოლებათა ამოხსნის ზოგიერთი რიცხვითი მეთოდის ფართო ცოდნა.</li> </ul> </li> <li>2. მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია;</li> <li>3. სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და პრეზენტაციისათვის საჭირო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების ცოდნა;</li> <li>4. ელემენტარული მათემატიკის - ალგებრის, გეომეტრიის და ანალიზის საწყისების გაღრმავებული ცოდნა.</li> </ol> |

|                               |  |
|-------------------------------|--|
|                               | <p><b>შეუძლია:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ფორმალური მათემატიკური ცნებების და განსაზღვრებების შემოღება და მათი მეშვეობით მათემატიკური წინადადებების ჩამოყალიბება;</li> <li>2. მათემატიკის სხვადასხვა დარგის შესაბამისი სირთულის მათემატიკური წინადადებების ჩამოყალიბება და დამტკიცება;</li> <li>3. შესაბამისი სირთულის ამოცანის დასმა, გააზრება, მათემატიკური მოდელის აგება და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მისი შესწავლა;</li> <li>4. პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების გამოყენებით შესაბამისი სირთულის მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტა;</li> </ol>                              |
| <p><b>შეფასების წესი</b></p>  | <p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი <b>91-100 ქულა</b>;</p> <p>B – ძალიანკარგი <b>81-90 ქულა</b>;</p> <p>C – კარგი <b>71-80 ქულა</b>;</p> <p>D – დამაკმაყოფილებელი <b>61-70 ქულა</b>;</p> <p>E – საკმარისი <b>51-60 ქულა</b>;</p> <p>FX – ვერ ჩააბარა <b>41-50 ქულა</b>. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს;</p> <p>F – ჩაიჭრა <b>0-40 ქულა</b>. სტუდენტს საგანი აქვს თავიდან გასავლელი.</p> |
| <p><b>საკონტაქტო პირი</b></p> | <p><b>პროგრამის ხელმძღვანელი:</b><br/> <b>ვლადიმერ ბალაძე</b>, პროფესორი.<br/> ტელ: 995 593 36 96 09;<br/> e-mail: <a href="mailto:vladimer.baladze@bsu.edu.ge">vladimer.baladze@bsu.edu.ge</a></p>  |